საქართველოს მთავრობის

დადგენილება №79

2024 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – საფეხმავლო ბილიკების მონიშვნისა და გეგმარების შესახებ დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – საფეხმავლო ბილიკების მონიშვნისა და გეგმარების შესახებ“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის №475 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**